

1962

შეკრთება ზოროვარკში

— ნება მეც ოთხი ხელი გომცა!

№ 21

თბილისი ნომერი

1962

ნიუ

ქრონული
გეოლოგიური

გამოცემის 80-40 წელი, ფასი 20 კპ.



გეოლოგიური
გეოლოგიური

ნ. ზ. ჯორჯბიდიანი

23.62

Handwritten signature



— თქვენმა შვილმა გული აიცრუა სკოლაზე.
— როგორ გეკადრებათ, ბატონო, თითო კლასში ორ-სამ წელიწადს წიხი

კოვზი ნაცარში

ადამიანი უკვე დიდი ხანია გამოვიდა იმ ეპოქიდან, როდესაც ფეხშიშველი დადიოდა. ბუნებრივია, გაიზარდა ფეხსაცმელზე მოთხოვნილება. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ვიორგო ბაუშინაშვილმა და ურუმუნჯთა საზოგადოებასთან არსებული სასწავლო-საწარმოო საამქრო, რომლის უფროსადაც თვითონ ითვლებოდა, საკუთრებად იქცია.

— რობერტ, — მიმართა ერთხელ ვიორგომ თავის ოსტატს, — ხომ იცო, ხალხს ფეხსაცმელი სჭირდება.

— შენ ეგა თქვი და! — მიუხედა რობერტი უფროსს ბირველი სიტყვიდანვე.

— მოლა, ჩვენც უნდა გავახუროთ მუშაობა, ვეკროთ და ვეკროთ.
— მე რას ვეუოფი, უფროსო.

— შენ მართალი ხარ, რობერტ, მაგრამ ეგეც ადვილი მოსაგვარებელია. — და, მართლაც, ვიორგომ ადვილად მოაგვარა მუშახელის საკითხი, თითქოს ფეხბურთის გუნდი იყო, მან თერთმეტი კაცი მოიყვანა საამქროში, მისცა ხელში ხელსაწყო-იარაღები და უთხრა: თქვენც ჰამეთ, მეც მაჭამეთო. ვიორგომ დაქირავებული მუშები ააცილა კანცელარიალურ დაფინანსებას და, ყოველგვარი გაფორმების გარეშე, შელაღა საამქროში.

საქმე დადებულიად მიდიოდა, იკრებოდა ფეხსაცმელები, რომელიც უკლები დამოთ მშენებდებოდა. გასაღება კი თბილფეხსაცმელები № 15 და რუსთაველები № 88 შალვაშვილმა იკისრეს. ამ მოვალეობას „ბირნათ-და“ ახრულებდნენ აღნიშნული მაღაზიის ხეჭვიონერები დავით ბანტი-შვილი და ზაალ დოლაძე.

მაგრამ თბილისის ქალაქის მილიციამ მალე წაასწრო ბაუშინაშვილს და მის ავანჩავანთ.

ახლა სიტყვა პროკურატურასა და სახამართლოებს ეკუთვნის.
ბ. პატარაძე

„ოპიასია“ მანდარინი

15 ოქტომბერი
თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის განყოფილება.

რაიონილიციის განყოფილების უფროსი გ. გამყრელიძე თავის მოადგილეს გ. მანაგაძეს აძლევს დავალებას.

მანაგაძე და რაიონის ობიექს უფროსი შ. ჩაჩიბაია უხსნიან სამოქმედო გეგმას ოპერაშედეგებს: ვ. მანანაშვილს, კ. კუნელაურს და დ. ბანანაშვილს.

ოთხეული თბილისის ავტო-სადგურში ჩნდება და ჩნდება ავტოსადგურში ბათუმიდან ჩამოსული ავტობუსი ზილი გო 99-16 — თენგიზ მისურაძისა და მიხეილ სარქისოვის მძღოლობით.

მგზავრებისაგან სასწრაფოდ იცლება ავტობუსი... იქიდან მხოლოდ წმიდა სამება არ იცვლის ფეხს: მძღოლი მიხეილ სარქისოვი და მგზავრები: შურა ტოტოჩავა და ლამარა ჩიგოგიძე. ერთი დარდი აქვთ მათ: იგვიანებს ავტობუსი ბაქო-თბილისი, ეპ, ბედი უნდა ყველაფერს!

ლოდინისაგან გულგაწყობილი მიხეილი ებასება მანდილოსნებს, რალაცას უხანავს, უწერს... მიხეილს ავლაბრისაკენ მიჰყავს ავტობუსი. ქალები პირველი შემხვედრი მსუბუქი მანქანით მიჰქირაიან იმავე მიმართულებით: კიდევ ერთი მანქანა აედევნება მათ „ფეხდაფეხ“.

ავლაბარი. კოშკოვანის 13 (რიცხვი ცამეტი აქ არაფერშია დამნაშავე).

სარქისოვს თავის გარაუში გადააქვს რალაცით საგსე 23 ტომარა. ეზოში არიან შურაც და ლამარაც. შემოდის მილიციის მუშაკთა ოთხეული... ტომარას თავს მოხდიან, იღებენ ჰაშნიკს.

— ვისია ეს მანდარინი? — მიხეილი გაშრა, მხრები აიჩჩია, ხელები უმწეოდ გაშალა და სიმწერის ოფლმა დაასხა.

— ამათი.
— თქვენია? — ეკითხებიან ქალებს.

— არა, როგორ გეკადრებათ...
— საბუთები! —

— რა საბუთები, ბატონო, ბათუმიდან ჩამოვედით, სიონში მკითხავი უნდა ვნახოთ და მასთან საბუთები რალად გვინდოდა?
— მერე, აქ საიდან გაჩნდით?

— პატ. მიხეილმა შემთვეთა თავაზა, პურ-მაროლონი ცოლი მყავს და ლამაზი ჩემო... გაათიეთ, კარგ დროს გავატარებინებთო...

მილიციის მუშაკები, „შემთხვევით“ პირველად მხოლოდ ტაშტს, „შემთხვევით“ რომ გაპკრავენ ფეხს, შურას და ლამარას იქ „შემთხვევით“ შენახული პორტრეტებიანი საბუთები და აქვე შენახულს...

— აქ რატომ მოიტანეთ ეს მანდარინი? — ეკითხებიან მიხეილს.

— დროებით შევეუნახე...

— ნუ შეწუხდებით, მანდარინსაც ჩვენ შევუნახავთ და ლამეცაც ჩვენ გავათევიებთ...

...შეუნახეს, გაათევენს. ოპერაშემუხებული ე. სუბიშვილიც უმასპინძლეს „სტუმრებს“: ენაწყლიანი კაცი ხარ და გაართეთო...

იმ შთისა თქვეს, ამ შთისა თქვეს, გამოემცნაურნენ სუბიშვილს. შურა ტოტოჩავა მანარაძის რაიონის სოფ. გურიანთიდან აღმოჩნდა, ლამარა ჩიგოგიძე ციხისძირიდან თუ ჩაქვიდან. ერთი მჯდარა სპეკულაციისათვის და მეორეც. ერთხელაც მსხდარან და მეორეჯერაც. პროფესიით: მანდარინით, ფორთოხალითა და ლიმონით სხვათა და სხვათა არაოფიციალური მომზარაგებლები ყოფილან ანუ, ერთი უცხოური სიტყვით — სპეკულანტები...

ახლაც ბაქოელები უნდა მოემარაგებინათ მანდარინით... მერე რა, რომ მანდარინი მწვანეა ფოთოლოვით, შურა და ლამარაც ხომ ადამიანები არიან, მაგრამ ისინიც ხომ მანდარინების მაგიერ გაყვითლდნენ, თორემ მწვანე მანდარინს, მათის ახრით, ვიდრე ბაქოში ჩავა და იქ კილო-კილოდ გასადღეობა, როგორ არ მიეცემა სიმწიფის ფერი.

110 კგ. მკვანე მანდარინით ხელებდამშვენებული უნდა ჩასულიყვნენ ისინი ბაქოში. მაგრამ ბაქო-თბილისის ავტობუსსა დათვიანა და მიხეილ სარქისოვი შურასა და ლამარასთან ერთად გაეხა, ალბათ. მასაც მოუწევს თავისი სტუმართმოყვარე ცოლისაგან მოშორებით გაათიოს არა ერთი და ორი ღამე.

ეპ! ბედი უნდა ყველაფერს.

მარაშოტი.



ჩემი ჰერი და თბილწყალსადენი

— ბუყ-ბუყ-ბუყ-ბუყ... ბუყ-ბუყ-ბუყ.
— ისმის ჩემს სააბაზანოში სანეკარო ხმა და მე გაფაციცებული ვუგდებ ყურს ამ სამეურნეო არიტმიას. ჩემი უბანი დამის გრაფიკულად გადაიყვანა ქალაქის წყალსადენის სამმართველოში. მხოლოდ დამის საათებში შემოიძლია გავისვებლო გამომშრალი პირი. ეს გერეთ წოდებული სამეურნეო გემიანობაა და მეც, როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, გრაფიკში ვზივარ, გრაფიკით ხელში შევყურებ მობუყბუყ რკინის მილს.

დამის ორი საათია და წყალმა სადღაც პირველ სართულამდე ამოაღწია. კიდევ რამდენიმე ათეული წუთი და მეოთხე სართულზე, ჩემს რკინის მილში უცნაური ბუყ-ბუყი ჩხრიალით შეიცვლება. მერე ტალახნარევი წყალი გამიგრძობს თითებს და, როცა ჩვენი წყალსაზომი რამდენიმე ათეული ლიტრ წყალს ჩაყრის საანგარიშოში, ჩემი დამის სტუმარი უკვე მოსახმარადაც ივარგებს.

ონკანს მარცხნივ ვატრიალებ, სააბაზანოს კარს ვადებ, რომ წყლის პირველმა ჩხრიალმა თავიანი მობრძანება ხმაურით მამცნოს და სამზარეულოს ბატარა მაგიდაზე ედებ დამძიმებულ თავს. შემდეგ კი უცნაური ფიქრი ისადგურებს ჩემს გონებაში... დაუსრულებელი ფიქრი.

„რა იქნება, რომ ჩემს უბანსაც ჰქონდეს ისეთი ილბალი, როგორიც ჩემივე ქუჩის ათ ნომერ სახლს აღმოაჩნდა? რადაცა სამასი — თხასი მეტრი მანძილის გავლას ოცდაოთხ საათს რად უნდება ეს დალოცვილი ნატახტარი? იქ თუ დღეღამ მოეხეთქება ეს თავზე ხელადებული და, რომ არ რცხვენოდეს, მიღების დახეთქვაზეც კი არ იტყვის უარს, ჩემმა უბანმა რა დაუშავა?“

— ბუყ-ბუყ-ბუყ-ბუყ... ბუყ-ბუყ-ბუყ-ბუყ.
— კვლავ მეწვევება ყურში მხოლოდ ხმაური და ისევ ფიქრი იტაცებს ჩემს გონებას:

„ამ დალოცვილმა ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა რა არ გამოიგონეს. მეშვიდე ცაზე ავიდა ადამიანი და, სადაც არის, მარსზე ჩვენი ავტონსაპეცია საგზაო მოძრაობის ნიშნებს დააყენებს, მთვარეზე მოძრაობის ინსპექტორს დასვამს უწყსრიგო მძლოლების დასაჯარიმებლად. ავტომატიკა? კიბერნეტიკა? მალე, ალბათ, რძლები საბოლოოდ შევლევინან დედამთილებს და ჭურჭლისა და სარეცხის დასარეცხად რკინის ავტომატურ დედაბრებს შეიძენენ. სადამდე მივიდა ადამიანი! ჩემს სააბაზანოში კი, თუ

წყალმა მობრძანება იკადრა, აბაზანის მარჯვნივ დაკიდებულ მუდმივმოშლილ აუცილებელ ავზიდან იგი უნიტასისკენ ავტომატურად მოხრიალ-მოჩუხჩუხებს და ათმა ხელოსანმაც კი ვერ შეძლო მისი ერთი წუთით მაინც შეჩერება. ჩემს სააბაზანოში-მეთქი, რა სათქმელია, ასეა ყოველ ახალ ბინაში, რომელშიც კი თბილსანტეჰმონტაჟმა ეს უცნაური ჩამრეცხავი მოწყობილობა დაამონტაჟა. ყოველ მოქმედ საათში ასობით ვედრო წყალს ტყუილუბრალოდ ღვრის ფინაჩმონტაჟის ეს პირმშო და ჯოჯოხეთური სისწრაფით ატრიალებს წყალსაზომს. ბიჭოს ეს რა აზრი მომივიდა თავში? იქნებ სწორედ ამის გამოა, რომ მე დამის გრაფიკულად გადაიყვანა თბილწყალსადენმა? ღამე, როცა წყალი არავის სჭირდება, სად



შეძლება მისი ასე იოლად გასაღება, თუ არა ახალ ბინებში? ძველ ბინებში ხომ წვეთიც არსაიდან გამოთონავს და წყალსაზომს ადგილიდანაც ვერ დაძრავს? თბილწყალსადენმაც ხომ უნდა შეასრულოს თავისი სამეურნეო-საფინანსო გეგმა? ხვალ მომადგება კარზე ჩვენი სახლმმართველი და გასულ თვეში დახარჯული წყლის საფასურად მანეთნახევარს მომთხოვს.

— ეს რა არის, ძმობილო, ბებიაჩემმა ასხუთ წელიწადს იცოცხლა, ბოლო ხანებში წყალმანკიც კი გაუჩნდა და იმასაც არ დაუღვევია ამდენი ათეული ათასი ლიტრი წყალი! — ვეტყვი მე.

— მე ვინ მკითხავს, — მიპასუხებს სახლმმართველი, — წყალსადენის მუშაკებს ელავე.

წყალსადენის მუშაკებს კი მუდმივად ერთი პასუხი აქვთ გამზადებული:

— როგორ, ბატონო, დღისით ავსებთ თქვენს ჭურჭელს, თუ დამით, მაინც ჩვენს წყალს არა სვამთ?

და მე, აქედან, ჩემი სამზარეულოს მაგიდიდან, ამ გათენების ჟამს მინდა დავიყვირო:

— რას დამცინით... ამინაზღაურეთ დამისთვის დაკარგული ჩემი ენერგია და მე, სამაგიეროდ, ხუთჯერ მანეთნახევარს გადაგიხდით!

მინდა დავიყვირო, მაგრამ ადგილიდან ვეღარ ვიძვრები. გადაღლის ბრალია ეს, თუ ჩამეძინა? როგორ თუ ჩამეძინა! აი, წყალი უკვე მოჩუხჩუხებს და მისი სიგრილე საამოდ ესალბუნება ჩემს თითებს. თითებსო? რომელ თითებს, მკლავებზეც მესხმება იგი, ზურგზეც, თავზეც, ყველგან. უნდა დავიძრა, თორემ, მთლიანად სველი ვარ! მაგრამ, თუ ბიჭი ხარ, დაიძარი ადგილიდან! მთელი ღონით ვწევ ტანს და თქვენც არ მომიკვდეთ, სატურნის მიმზიდველობით მიმიჯაჭვა ჩემმა სკამმა.

უცებ თოფის სიძლიერით იჭექა რაღაცამ და ჩემს თავზე გრილით წამოვიდა ჭერის ბათქაში. გამეღვიძა. ცხადშიც სველი ვარ თავიდან ფეხებამდე. ჩემზედა სართულის მცხოვრებს, მოხუც ნიკას ეტყობა ჩემსავით ღია დაუტოვებია ონკანი, შემდეგ კი ჩასძინებია წყლის მოლოდინში და დანარჩენი, მგონი, ყველასათვის გასაგებია. ჭერიდან ნატახტარი მოთქიშინებს, კედლები მთლიანად ჩამოურეცხია, ნალესი იატაკთან შეუშვლია და ქვედა სართულიდან ღრიალი მესმის:

— რა ღმერთი გაგიწყრათ, ისევ ღია დაგრჩათ ონკანი?! მე ძილფხიწული დაუტოპავ გაჯის ფაფაში და გონებაში გამზადებ პასუხს:

— მე არა, ნიკამ ამოავდო დღეს ჩვენი, ორივეს ოჯახი.

მე და ჩემი ქვედამეზობელი ხვალ უკვე მეთათასე ასეთ მომჩინანდ მივდივართ სასამართლოში, რათა ჩვენზედა მეზობლის ნიკას წინააღმდეგ აღვძრათ საქმე. ბინების რემონტი მას უნდა გაგაკეთებინოთ. თბილწყალსადენლებო, ხომ არ დაგვახმართ იურისტს?

ბ. ივანიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ბიჭებო, ვთოხლოთ სიმინდი!



— ბიჭებო, ვთოხლოთ სიმინდი!



ილია ჩაჭავაძის დაბადების 125 წლისთავი

მიმდინარე წლის ნოემბერში ქართველმა ხალხმა უდიდესი ზეიმი ადინებს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავი.



— რა ვნებავს შენა? — შენთან სიკოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან უკოფა და შენთან ღარიყენა.



შეშლას ეძინა, დღით ზეტიყვას რაცა, თითქმის დაღლილა მიჩაც და ცოცა.



შაბაზ სიტყვა, შაბაზ კაცო, შაბაზ სკმე შენგან კმნილი.



— სიტყვა შენი გვიღირს ძვირად.

და ძისა შენსა დღეს არც კი სწავს შენი აღდგენა, გაწირულების შთახდომიას მას გულში წყლული...



— რაო, ოთარაანე გვირეო, გემართა მავიბი, თუ რა არის? — შაშ არა და, მავის თავის მშრე, რემს თავს პურს დავაყლებდი და მავის მაკახინებუი მივცემ?



ნანა, შელო, ნანა. ნანა, რამ შეგინა. უფლა ნანა არ ვაყუაო. არც ვეყო და არც ვწოა. ზოდა რისთვის ზღვიბარ, მითხარ, სკმე რაშა? რაც დღე ახსოვს, მამაშენს ფაშად უფარაშა. მეღწირად ვცხვირებო. სანამ რესტორანია. სანამ უფროსს ვუვარავარო. ტერაზად დავდგის ხალშო. მოლა, რამ შეგინა, ნანა, შელო, ნანა.


ძროხის ღლეტის, ნაწლავის ოქროს ფახად ახადებს. გათუნებოთანად პურის კმას აჩადებს. შერე რა, რამ ხანახან ვეძიოთი ვარალებს. მამაშენს ზეგმე სკმე მანაც ვარაბეს. რველია დავაყო, ვამი ვამე ვახახს, მოლა, რამ შეგინა, ნანა, შელო, ნანა.

სახლი ათოვლიანი წამოკვიბი იცემა. მამაშენი კაცო აშ სკმეშე ნაგეში. რა ვეყო, რამ ზაგ-ზოგნი — იტურიბებენ სახეში უოლად ვაგორავებო მისდის შაშ და ბეშს, ბეღურა ზომ არ არის, რამ ვაგას მახეში თუცა მზარად ზეფრენბა ვაგომტვრალი, ნახლენო, მავიამ უფლა ზომ აცოტებს — მამა მამის სკმე დღეში. მოლა, რამ შეგინა, ნანა, შელო, ნანა.

ჩენი ბუღის ვარცხლილი, ცოზე შოვარედ კილი... სხვიბი ზურგი მამისთვის ვახახლული ბილი, ბული სახლი ააგო. ოთხი ვაგაული დეზინტე რამაშენს, რამ ვაგლბე დილი. მოლა, რამ შეგინა, ნანა, შელო, ნანა.

ენატრებო ზოგიერთს საცერავი მანქანაც. მამაშენსა სარჭრად „კოლა“ ოქუნა ახანავს. შერე ვაგორავლი, ვაგვარავს. როცაოც ვეყო სახლას, დავახლბებს ცუდს შეგოვს, მიღწარდა და შეგოვს. ვევიბარები მამაშენს, ნანა, შელო, ნანა.

ბოლდელი და ხახახანდელი



ტექნიკის უდაბრული ტემპით განვითარებამ მან-
ძილს სული ამოხადა.

ჩვენი დროის ერთ-ერთი საოცრება — ტელეფონი.
ასლა უკვე არაფერს აოცებს და ფეი ადამიანის ყოველ-
დღიური ცხოვრების კომპონენტად იქცა.

ტელეფონი ხალხს ემსახურება და ტელეფონს
ადამიანები ემსახურებიან.

ასეა ყველა ქალაქში და იქაც, სადაც მე ვცხოვრობ.
აქაც არსებობს ქალაქის ავტომატური და საქალაქ-
თამორისო სალაპარაკო სადგურები.

სადგურის ზოგიერთ პატივცემულ მუშაკს წესად ის ამ-
ბავი შეუთვლია, რომ, ესაო და კლიენტები აბეზარი
ხალხია და მათთან თავზაიანი მოპყრობა ფრიად
დასაძრავი საქციელიაო.

ამასთან ერთად, სადგურში კლიენტებთან დამო-
კიდებულება ერთნაირად გულუცივია.

ფაქტად, სასწრაფო საქმის განთ, სასწრაფოდ გინ-
დათ გულუბრალოთ თბილისს, ქუთაისს, გინდა ბაქოს,
სადგურში დაწესებული უწყის წესის თანახმად,
თქვენ ვალდებული ხართ, ჩადგეთ საერთო რიგში
(რაც არაოპერატიული მომსახურების გამო, ყოველ-
თეის საკმაოზე დიდია) და მხოლოდ შევედით დაგ-
ვიანებით მიღების შემდეგ, თუ ვინცთბაა მოგხასია-
თათ, სასწრაფოდ დაგვიკავშირებენ ამონენტს. სხვა
ქალაქებში სასწრაფოს შევედით სასწრაფოდ და რიგ-
გარეშე იდებენ, რადგანაც სასწრაფოა და, ალბათ.
ინიტომაც ღირს გაცოდებთ მეტი.

ერთიც ვნახოთ და რეკავთ ცნობათა ბიუროში ამა
თუ თქვენთვის — საჭირო ამონენტის ტელეფონ-
ნის ნომრის გასაგებად. იქიდან რაიმე ნომრის უთუოდ
ნოცემენ, მაგრამ არ გვეთბოთ, ეს ის ნომერი იყოს,
რომელიც თქვენ გსურთ. მორთვეები სიუსტეს სი-
სუსტედ თვლიან და მისთვის თავს არ იწუხებენ. მოგ-
ცენენ რომელიმე ნომრის, რომ თავიდან მოგიმორთონ.

ზოგჯერ, მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქან-
ცული ხალათის ძილს რომ ეძლევი, უცებ ტელეფონ-
ნის ზარის განუწყვეტილი წყარუნი ფეთქიანებით წა-
ნოგადებთ. თავზარდაცემული და ნახევრად ძილის
ბურანში მყოფი მივარდებით ყურმილს და გესმით:

— ელაპარაკეთ ტაშკენტს, ელაპარაკეთ ტაშკენტს!
— ტაშკენტში არასოდეს არ ყოფილხართ, თქვენ
არც მეტობარი ცხოვრობს იქ და არც ნათესავი, არც
რაიმე საქმიანობით ხართ დაკავშირებული ამ ქალაქ-
თან. მაგრამ, რაკი გეძახიან, უსმენთ.

ორი-სამი წუთის ურთიერთდაცხების შემდეგ,
ტაშკენტელი მოქალაქისათვის ნათელი ხდება, რომ
თქვენ ის არა ხართ, ვინც მას უნდა, თქვენ სულ
სხვა ხართ, რომელიმე, თქვენდა უნებურად, ესოდენ
საჭირო სალაპარაკო წუთები დაკარგვირეთ ტაშკენ-
ტელ მოქალაქეს.

ხდება ასეც: თქვენ შეუკვეთთ როსტოვი, აწკა-
რუნდება ტელეფონი, მორიგე გაფრთხილებთ: როს-
ტოვის ელაპარაკეთო

თქვენ ნთელი გულმსურით უსმენთ. მაგრამ, გა-
კონილა? ჩამიჩუნი არ ისმის, ამ სამარისებურ დუ-
მილა ისევ მორიგის რიხიანი ხმა არღვეს: თქვენ
დრო ანოიწურათ. გამოდის, რომ თქვენ ილაპარაკეთ
მავლინ, როცა კრინტიც არ დავიძრავთ, როცა თქვენს
ამონენტს ხმა არ ამოუღია.

არ გვერნოთ ეს ჯამბაზობა იყოს, ეს ჩემი ქალაქის
სალაპარაკო სადგურის მუშაობის მეთოლია და სხვა
არაფერი.

ჩვენი რჩევაა, ტელეფონის მფლობელ-მოზინადრე-
ნი. თუ გსურთ დამით მოისვენოთ და ტკბილი ძილი
გქონდეთ, გამორთეთ ძილის წინ ტელეფონები

0. გმრსამია



— ამხანაგობაა, აბა რა?

ერთი ხანლი ხიდედრს ავუშენე, ერთი ცოლს, ერთი
შვილს და ახლა ჩემთვის ვიშენებ პატარა ქოხს!

შესანიშნავ ინიციატივას „გადავაქციეთ ჩვენი
რაიონი ბაღნარად“, რა თქმა უნდა, ჩვენი ტრეს-
ტიც გამოცხადება და აი, კვირა დილით, თანამ-
შრომლებით, ნიჩბებითა და ბარებით სავსე ავ-
ტობუსით გავეშურეთ გარეუბნისაკენ, წინ ჩვე-
ნი ლუკიჩი მიგვიძღვოდა თავისი ორფერად შე-
დებილი ვოლგით.

გარეუბანში ხალხი დაგვიხვდა. მოგვცეს თუ
არა ნაკვეთი, დავავლეთ ხელი ბარებს და მუ-
შაობას შევედექით. ლუკიჩი კი წამოჭდა ნაკ-
ვეთის თავში ოდნავ შემადლებულ ბორცვზე
(ან საიდან გაუჩინეს ასე უცებ სკამი?) მარჯვე-
ნითი მზე მოიჩრდილა და იცე გადმოგვყურებ-
და, როგორც მხედართმთავარი ბრძოლის ველს.
გახურებულ მუშაობაში ვიყავით, ჩვენსკენ
მომავალ ფოტოკორესპონდენტს რომ მოგვკარი
თვალი და ერთი აზრი მომივიდა... კორესპონ-
დენტი ლუკიჩის წარვუდგინე და ვუთხარი გა-
ზეთისათვის სურათი უნდა გადავიღო, როგორ
მუშაობთ ჩვენთან ერთად-მეთქი.

— კარგია, კარგია — წამოხტა ლუკიჩი. —
აბა, ერთი ბარი მომიცით!

მისცეს ბარი. ლუკიჩმა დაიკავა იგი მარჯვე-
ნა ხელში, მარცხენა ფეხი ზედ შედგა და
თქვა, მზად ვარო.


— პატივცემულო ლუკიჩი უკეთესია, ისე გა-
დავიღოთ, ვითომ მუშაობთ. — თხოვა კორეს-
პონდენტმა.

მაშინ ლუკიჩმა იკადრა და დაჭრა ერთი-ორ-
ჯერ ბარი მიწას, მაგრამ კორესპონდენტი მაინც
არ იღებდა.

— იცით რა, პატივცემულო ლუკიჩ, რადაც
არ გამოდის — პალტო, მალსტუხი, განამებულ
ბერანგი, შლიაპა და... ბარი. საჭიროა შევქმნათ
შრომის ატმოსფერო და სურათიც რეალისტუ-
რი იქნება.

ლუკიჩმა გაიძრო პალტო, შეიხსნა გულისბი-
რი და ისევ დაავლო ხელი ბარს. ყოველი დაკ-
რის შემდეგ თავს ახწევდა და შეხედავდა კო-
რესპონდენტს, აღარ მორჩილა. კორესპონდენტი
კი ვითომ ადგილს არჩევდა, ხან აქეთ ვახტებო-
და, ხან იქით, ხანაც ჩაიჩოქებდა და თან იძახ-
და „კარგია, კარგია, გააგრძელებო“.

დადი ხნის მერე კორესპონდენტმა დაიძახა
„ერთი წუთით“ და ჩიკ. ლუკიჩმა ღრმად ამოი-
სუნთქა, „დაგეგრა ოჯახიო“ ჩაიხურტყუნა, ბა-
რი შორს მოისროლა, და გასავალებული ჩა-
მოჭდა.



...მაღე ტელესტუდიის კინოოპერატორი, ოფი-
ციალურად გამოცხადდა ლუკიჩს და მოახსენა,
დღევანდელი საღამოს გადაცემისათვის კინო-
რეპორტაჟს ვამზადებ და თქვენც უნდა გადა-
ვიღოთო.

— ცოტა ადრე მაინც მოხუციყავით, შე კა-
ცო, წილან გადამიღეს და ბარემ იოლად გამო-
ვიღოთ, ძლივს შემავრა ოფლიო.


— როგორ, აქ უკვე იყო ჩვენი ოპერატორი?

— არა. ჩავერიე მე, — ის ვაზეთის ფოტოკო-
რესპონდენტი იყო.

— რას ბრძანებთ, ბატონო. სად მკვდარი ფო-
ტოგრაფია და სად კინო. — განაცხადა
კინოოპერატორმა, ფოტოგრაფს მხოლოდ ერთი
კადრის გადაღება შეუძლია, მაშინ, როცა მომა-
ვალი თაობებისათვის ჩვენ ფირზე აღვებქვავთ
თქვენი მუშაობის მთელ პროცესს და დღესაც,
შინ რომ მიხვალთ, თქვენი ლამაზი ოჯახის წევ-
რები და ასევე ათი ათასობით ტელემავრებე-
ლი ნახავს, როგორ ჩადექით თქვენ, ერთ-ერთი
მოწინავე ტრესტის მმართველი, თქვენს თანამ-
შრომლებთან ერთად და როგორ მუშაობდით
ბარით ხელში, როგორ...

— კაო, კაცო, გაჩრდი, შენ ოპერატორი ხარ,
თუ არტისტი? არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. მე
მიყვარს, — საჩვენებელი თითით წრე შემოხა-
ვა ლუკიჩმა, — ხაქმე და მუშაობა აბა, ვეფხვე-
ბო, დავიწყეთ. — ჩვენც და ოპერატორმაც ერ-
თად დავიწყეთ და, ხანამ მან გადაიღო „მუშა-
ობის მთელი პროცესი“, — გათხრა, ჩარგვა,
მოყრა და მორწყვა — ჩვენი ლუკიჩი ბუღლო-
წერივით ბრდღვინავდა და ისროდა მიწას, მა-
ღე ოფლში გაიწურა და ჰარხალივით გაწითლ-
და. თითოეულ ჩვენგანზე მხოლოდ ერთი ორმო
მოდიოდა, მან კი, ხაბოლოო ჯამში ორი ამოთ-
ხარა და მერე როგორი მონდომებით, იგი ხომ
ობიექტის წინ იდგა.

გ. დოლიძე





მონადირეთა საშუალებად

დღეიდან აღარ დაგვირდებოთ ვარულ ღორებზე სანადიროდ ფეხო-ფეხლოდ ხეციალი. ხილიანის ქუჩა, № 2 სახლის ეზო — აი მისამართი, ხადაც ყოველდღე შეგიძლიათ დახოცოთ ჩასუქებული და გაგარეული მუხლები.

ქალაქის საბჭოს საყურადღებოდ!

დღეიდან ხილიანის ქუჩის ეზოდან ღორიანის ქუჩა.

კომუნისტების საყურადღებოდ!

კომუნისტო, აღეკსნადრე კვარაცხელია, ხალხს აწუხებ, ღორებს უფლი, არა გრცხენია? საბინაო კომუნალური განყოფილების უფროსი:

ამხანაგო კამკამიძე, ეზო კარგად ვერ დაგვიკამკამებია.

იმედი გვაქვს, ამ წერილის გამოკვეყნებისთანავე, უპატრონო ღორებს დაეხვედნენ სახელგანთქმული მონადირენი, გემრიელ ხორცს წამთრისთვის დაშაშხავენ. ახალი კუბაძების აშიშინებისას სახლის რწმუნებულს ალ. ფედოტოვს, ნერწყვი გადმოგვივით, მაგრამ ახლავე გასწავლით მაღის მოშლელ უებარ საშუალებას: ყოველ დღით გადახედეთ თქვენდამი რწმუნებულ ეზოში აწვინებულ ნაგავს და ხამი დღით მაინც დაგვიკარგებთ ჭამის მალა.

სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკებმა შეპირად იციან რა არის ფინგანი და რა პატივით უნდა მოეპყრონ მის მუშაკებს.

პოლა, როცა ვინმეს პატივსაც სცემ, მის სახელსაც ეფერები, ელოდები... მაგრამ, უკაცრავად ვართ ფინგანის მუშაკებთან და ფინგანი აბა რა შუაშია ბუშკინის ქუჩაზე მდებარე ხორცის მაღაზია № 30-ის ამ წარწერაზე, ხადაც, ალბათ, ფინგანის სიყვარულით წაუწერათ სიტყვა შინგანი.

იმა, რაც სიტყვა შინგანითა აქ გამოხატული, საყვარელი დანის აღება რომ შეეძლოს, შინგანს გადმოაყრდენებდა ამ წარწერის ავტორსაც და გამკეთებელსაც, რამეთუ შინგანულის პარადღელური ფორმა შინგანია და არა შინგანი, თანაც არც „მ რ ო ს-ც ხ რ ი ს, ფ რ ი ნ ვ ე ლ ი“-ა სასიამოვნო გამოთქმა.



დღეს ნიანგი ჩვეულებრივად აღწერს გამოცხადდა კითხვა-პასუხის საღამოზე და დამსწრეთა მოლოდინში საგარდელში თვალები შინაბა. დარბაზი თანდათან ივსებოდა. აქ უამრავ დამსწრეს, კორესპონდენტს და სკიპის მკურნებელს მივყარა თავი, რომლებიც საღამოს გახსნას ელოდნენ. ის იყო ნიანგმა წამოადგომა დაამირა, რომ რაიონიდან ჩამოსულმა ერთმა კორესპონდენტმა დარბაზში თავმოყრილ დამსწრეთ მამართა: მეგობრებო, როგორც ხედავთ ჩვენი ძვირფასი ნიანგი ფიქრებშია. წასული, ხელს ნუ შევუშლით და რაიმეთი გაგართოთ თავი, შევეჯობროთ ერთმანეთს ტყუილის თქმას. ჩვენში, ვინც ყველაზე უფრო დაუფრებულ ტყუილს იტყვის, გამარჯვებუ-

ლიც ის იქნება. დარბაზი გამოცხადდა. მის წინადადებას ყველანი სიხარულით დაეთანხმნენ და ნიანგმა თავი მოიძვინარა. ყველამ დაივიწყა საკუთარი ჭირ-ვარამი, რამაც ისინი კითხვა-პასუხის საღამოზე ჩამოიყვანა და შეუდგნენ ტყუილების მოცინებას. პრეული ტყუილით დარბაზს თ. შინდისეღმა მამართა.

ტყუილი: მეგობრებო! თქვენ, ალბათ, ბევრი ზღვის სახელი გასმენიათ: კასპის, შავი ზღვის, თბილისის ზღვის და სხვა მრავალი, მაგრამ, ალბათ, ძრვერთმა არ იცით, რომ არსებობს შინდისის ზღვა. სამგორის რაიონის სოფელ შინდისში ადრე წყალი არ ყოფილა, შემდეგ მიღები ჩაუყრიათ და წყალი

გამოყვანილი, მაგრამ იმდენი წყალი წამოსულია, რომ მიღებში ვეღარ გაჩერებულა და გარეთ გამოსხეულია. გამოხეული წყალი ერთ ადგილას დაგუბებულა და...

ტყუილია, ტყუილი! — აღუდგინე დარბაზში მყოფი შინდისელები, იმდენი სიკეთე თქვენ, რაც შინდისში დღევანდლამდე სასმელმა წყაროს, ვერ მოაღწია, პირის დასაბანად თბილისში დაგვიფარო, ეს-კი ზღვებზე ლაპარაკობს.

ძლივს დააწყენარეს განაწყენებული შინდისელები, რის შემდეგაც მორიგი ტყუილით დარბაზს სიღნაღის რაიონის სოფელ ჟუგანის მცხოვრებმა კარლო აბულაშვილმა მიმართა:

აბულაშვილი ტყუილი: მეგობრებო! ყველას ვიმეზავრათ თვითმფრინავით და დღემდის, ალბათ, დარწმუნებული ხართ, რომ თვითმფრინავზე სწრაფი ტრანსპორტი არ არსებობს, მაგრამ, მე უნდა მოგახსენოთ, რომ ამაში ცდებით. მსოფლიოში ყველა სახის ტრანსპორტზე უფრო სწრაფად მოძრაობენ წნორის ავტოსატრანსპორტო კანტარის ავტობუსები. ავიღოთ წრიული რეისი წნორი-ჯუგანი-მარხაანი-ბოდბისხევი-წნორი. ამ რეისს ავტობუსი რაღაც წუთნახევარში ანთავრებს, მაგრამ განა ეს სასიამოვნოა. მეზურები ვერ ახერხებენ ბუნების დათვლილებას...

ტყუილი გაგვიფარო, მაგრამ ამის მსგავსი კი არა, გაიფრს დარბაზში მსხდომმა მარხაანელებმა, ჟუგანელებმა და ბოდბისხევიელებმა. ეს ავტობუსი ამ რეისს სულ ერთ საათს ანდომებს, ხოლო საათზე მეტი ხანი გაჩერებას უნდება. სანამ ბოდბისხევიელები იმაზე დაგობდნენ, თუ რაღაც საათს ჩერდებიან ერთ გაჩერებაზე წნორის ავტობუსები, მორიგი ტყუილის თქმის უფლება მთავრად ბათუმელმა მკვლამე.

ბათუმელი მკვლამე ტყუილი: თქვენ ალბათ არც კი იცით, მეგობრებო, რომ მსოფლიოში ყველაზე უფრო წყნარი და მყუდრო ქუჩა გორკის ქუჩაა ქალაქ ბათუმში. ამ ქუჩაზე თქვენ ვერასოდეს ვერ გაფრთხვობთ სხაურს. აქ 24 საათს განმავლობაში ისეთი სიწყნარე მსოფლიოს, რომ ბუზის გაფრენასაც კი...

— რას ამბობ, რას, — წამოხტნენ დარბაზში მყოფი ბათუმელები, — ჩვენ თვითონ გორკის ქუჩაზე ვცხოვრობთ და ჯერ ერთი ღამე არ გვეჩინებია მშვიდად. ეზოებში მანქანა-ტრაქტორთა სადგური გაგვიხსნეს და ტრაქტორების რასხრაში მოსვენებას არ გვაძლევს. განა ამაზე არ დაიწყება გავეთ „საბჭოთა აჭარაში“, მაგრამ მექანისაიის სამმართველოს უფროსმა უნდა იქნება ყურიც არ შეიხრტყა. აღუდგებელი ბათუმელები, როგორც იქნა, დააწყენარეს და შეგობრივად გაფრთხლდა.

მკვლამის შემდეგ ბედი თვითმწყაროს რაიონის სოფელ დიდი თონეთის ერთერთმა მცხოვრებმა სცადა.

დიდი თონეთელი ტყუილი: აბა, მითხარით მეგობრებო, დედამიწაზე სად ცხოვრობს ყველაზე უფრო სუფთა ხალხი, არ იცით? მე გეტყვი. სადა და დიდ თონეთში. თონეთელებს 1958 წლამდე აბანო ჰქონდათ. შემდეგ კოლმეურნეობის ბაზაზე საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, გადაწყვიტეს პატარა აბანოს მაგივრად დიდი აგმენებინათ. დანერვიეს პატარა, მაგრამ დიდი დღემდის არ აუშენებიათ. თონეთელებმა დღესაც მდინარე ალგეთზე ბანობენ, რომელიც სოფლიდან 6 კმ. არის დაშორებული. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს ექიმი არა ყავს, გაიკრებსაც კი არ ეშინიათ. არა გჯერათ, წადით და თქვენი თვალთა ნახეთ.

— მართალია, მართალი! — ერთხმად დაიძახეს დიდი თონეთის მცხოვრებლებმა, რომლებიც საღამოს ესწრებოდნენ, ახლადა მიხვდა დიდი თონეთელი, რომ შეუდგომით ყველაფერი მართალი უთქვას და, შეჯობრივად გამოფარდნილმა, ჩუმად მიატოვა დარბაზი.

მეც მართალი უნდა გითხრათ, — თქვა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანეთის მცხოვრებმა, — სადა გვეცალიან ტყუილებისათვის. სოფელში რადიო გვექონდა, ქვეყნის ამბავს ვუსმენდით. გვიხსრეს ვლექტრო-შუქიც გვექნებოდათ და „დროებიც“ რადიოს ხაზი ახსნეს, ბოძები ჩაყარეს და რადიო სიმ დაგვარეთ, სინათლეზე კი ლაპარაკი შედგებოდა.

— მეც მართალი გეტყვით, — წამოადგა ნიანგი, — ყველაფერი მოვისმინე და, ამიტომ, საღამოც ამით დავამთავროთ. შემდეგ კი კვლავ შეგხედეთ ერთმანეთს.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ხ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. ხ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-სატირისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის განზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილები—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 3/XI-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2097, უფ. 09267 ტირაჟი 40,000

ბუნდესვერის სათვალავით მუშაობდა სატანკო ბატალიონი ჩაეიდა
კასლმარტინის (ინგლისი) პოლიგონზე, სადაც დასაველეთ გერმანიის
ტანკისტები გადიან წვრთნას ამა წლის ივნისიდან.

(გაზეთებიდან)

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ინგლისის ლომის დაუთოვება დასავლეთგერ-
მანული ტანკით.

